განკარგულება:**g-63. 632335927**
თარიღი:**25/12/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი"_ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს თავი მე-3 მუხლი მე-16 პუნქტი მე-2 ფ ქვეპუნქტი. პუნქტი 3 პუნქტი 4 თავი მე-4 მუხლი 24 ქვეპუნქტი 2-ის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი"_ს მიერ 2024 წელს განსახორციელებელი პროგრამისა და ამ პროგრამის შესრულებისათვის საჭირო ხარჯის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი"_ს მიერ 2024 წელს განსახორციელებელი პროგრამა. (დანართი #1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი"_ს მიერ 2024 წლის შემოსავლების გეგმა (სუბსიდიის ჩათვლით). (დანართი #2).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი"_ს მიერ 2024 წელს განსახორციელებლი პროგრამის შესრულებისათვის საჭირო ხარჯი. (დანართი #3).

4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი"_ს მიერ 2024 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (დანართი #4).

დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის,

სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი"_ს

პ რ ო გ რ ა მ ა

აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელია არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი".

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი"რეგისტრირებულია სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში 2010 წლის 22 ნოემბერის, საიდენტიფიკაციო კოდი 438724203.

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი"-ს იურიდიული მისამართია: ქ.სამტრედია, აღმაშენებელის ჩიხი 2, #1. ორგანიზაციული კოდი 06.02.02.

საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე სამტრედიის მუნიციპალიტეტი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) აქტიურად უზრუნველყოფს სოციალური პროგრამების განხორციელებას. ერთ_ერთი ასეთი პროგრამა განხორციელდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისმ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი"_ს მეშვეობით.

2. პროგრამის მიზანი

მარტოხელა და მიუსაფარ მოხუცებულთა მზრუნველობა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

3. პროგრამის აღწერა

მობინადრეებს ადგილზე გაუწიოთ მზრუნველობა: კერძოდ , სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება.საყოფაცხოვრებო -სოციალური პროგრამებით უზრუნველყოფა. დღე-ღამის მანძილზე ოთხჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება. მედ-პერსონალთა და სანიტართა სადღეღამისო მორიგეობა, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

სათნოების სახლში ხშირად იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები. ყოველ წელს მატულობს მნახველთა რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მობინადრეთა ყოველდღიური ცხოვრებით და მათი ჯანმრთელობით. ხდება შემოწირულობა საკვები პროდუქტებით, რაც სათნოების სახლის მობინადრეებს ხმარდება. -სათნოების სახლი ფინანსდება სუბსიდიით, გადრა ამისა მას გააჩნია საკუთარი შემოსავალი (მობინადრეთა კუთვნილი პენსია)

4. მოსალოდნელი შუალედური შედეგი

სათნოების სახლში მცხოვრებ პირების, ხანდაზმულობისა და ოჯახის მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციარებისათვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარის გაძლიერება

5.მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

პროგრამის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება:

ა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიუსაფარ მარტოხელა მოხუცთა მდგომარეობის

გაუმჯობესება;

დანართი N2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი"_ს 2024 წლის შემოსავლების გეგმა

#	შემოსავლების დასახელება	თანხა (ათასი ლარი)
I	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	222,40
II	საკუთარი შემოსავლები (14 ბენეფიციარი)	52,50
	ჯამი	274,90

დანართიN3

არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს 2024 წლის მიმდინარე ხარჯები (ათასი ლარი)

	ეკ. კლას. კოდი	ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან	2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები	2024 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები
1		06.02.02.	ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	274,90	222,40	52,50
2			მომუშავეთა რიცხოვნობა	22	22	
2	2		ხარჯები	274,90	222,40	52,50
2	2.1		შრომის ანაზღაურება	168,50	168,50	0,00
3	2.2		საქონელი და მომსახურება	104,60	52,10	52,50
3	2.7		სოციალური უზრუნველყოფა	1,80	1,80	0,00

დანართი N4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი"_ს 2024 წლის საშტატო განრიგი

#	საშტატო ერთეულის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	ხელფასი სუბსიდიით 1 თვის	სახელფასო ფონდი 1 თვის	წლიური სახელფასო ფონდი

		ნობა	**ერთ ერთეულზე**		
1	**დირექტორი**	**1**	**1265**	**1265**	**15180**
2	**დირექტორის მოადგილე**	**1**	**990**	**990**	**11880**
3	**ბუღალტერი**	**1**	**858**	**858**	**10296**
4	**საწყობისგამგე (მომმარაგებელი)**	**1**	**688**	**688**	**8256**
5	**ექიმი**	**1**	**660**	**660**	**7920**
6	**უფროსი ექთანი**	**1**	**583**	**583**	**6996**
7	**ექთანი**	**5**	**578**	**2890**	**34680**
8	**იურისტი**	**1**	**594**	**594**	**7128**
9	**სპეციალისტი**	**1**	**572**	**572**	**6864**
10	**ტრაპეზარი**	**2**	**534**	**1068**	**12816**
11	**მოწყალების ძმა**	**1**	**572**	**572**	**6864**
12	**მოწყალების და**	**4**	**572**	**2288**	**27456**
13	**მრეცხავი**	**1**	**550**	**550**	**6600**
14	**დამლაგებელი**	**1**	**462**	**462**	**5544**
	სულ ჯამი	**22**	**9478**	**14040**	**168480**

5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი